სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება
N01-083103

ქ. თბილისი 31 აგვისტო 2017წ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ **სსიპ ,,გარემოს ეროვნული სააგენტო"** (შემდგომში - `შემსყიდველი") მისი უფროსის **თამარ ბაგრატიას** სახით და მეორე მხრივ **შპს "სი-ტი პარკი"** (შემდგომში - `მიმწოდებელი") მისი გენერალური მენეჯერის **ბინიამინ ლაჰავის** სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის პირველის პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია სსიპ ,, გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის 1 (ერთი) წლის პარკირების საფასურის გადახდა და შესაბამისად პარკირების სისტემაში გააქტიურების მომსახურების სახელმწიფო **(CPV-98351110-მომსახურებები ავტოპარკირების წესების დაცვის უზრუნველყოფის სფეროში)** შესყიდვა.

1.2 სისტემაში გასააქტიურებელი ავტომანქანები და სისტემაში გასააქტიურებელი თარიღი მოცემულია დანართი N1-ში, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს (იხ.დანართი N1-1 ფურცელი)

1.3 მომსახურების გააქტიურება განხორციელდება 2017 წლის 08 სექტემბრიდან.

2. შესასყიდი მომსახურების რაოდენობა და ფასი

2.1 პარკირების მომსახურების შესყიდვა ხორციელდება 4 (ოთხი) ერთეულ ავტომანქანაზე, რომელიც მოცემულია დანართი N1-ში. ერთი ავტომანქანის წლიური პარკირების საფასური შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

2.2 ხელშეკრულების საერთო თანხა შეადგენს **200 (ორასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.**

3. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1 მომსახურება ქ. თბილისის მასშტაბით (პარკირების სისტემაში გააქტიურება) განხორციელდება ხელშეკრულების 1.3 პუნქტით გათვალისწინებული ვადიდან შემდეგი წლის შესაბამის კალენდარულ დღემდე.

3.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასაწევი მომსახურებისათვის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი და შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაცია.

3.3 შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღებას განახორციელებს სსიპ ,,გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ლოჯისტიკის სამმართველოს უფროსი.

4. ანგარიშსწორების პირობები

4.1 მომსახურების ხარჯების ანაზღაურება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტისა და საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ვალუტით, უნაღდო ანგარიშსწორებით "მიმწოდებლის" მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებული ფასების შესაბამისად.

4.2 ანგარიშსწორება განორციელდება საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.

4.3 ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელზე დაკისრებული ჯარიმის ანაზღაურებამდე, შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ანგარიშსწორებაზე. ამ შემთხვევაში ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ შესაბამის ანგარიშზე ჯარიმის გადახდის შემდეგ.

4.4 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

5. ცვლილებები

5.1 ხელშეკრულებაში წინასწარ შეთანხმებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები "შემსყიდველისათვის". ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ "საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" 398-ე მუხლის თანახმად.

5.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. ფორს-მაჟორი

6.1 ხელშეკრულების პირობების დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როცა რომელიმე მხარე ვერ მოახერხებს თავისი მოვალეობის შესრულებას საყოველთაოდ აღიარებული ფორს-მაჟორული მოვლენების ზემოქმედების გამო.

6.2 ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრის შემდეგ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ახალ ვადებზე.

7. **შესყიდვის ობიექტის ხარისხი**

მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

8. **ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

ხელშეკრულების შესრულების კონტროლს "შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ლოჯისტიკის სამმართველოს თანამშრომელი.

9. **მხარეთა უფლება _ მოვალეობანი**

9.1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. უთანხმოების შემთხვევაში დავა განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 წინამდებარე ხელშეკრულების პირობები ვრცელდება მხარეებსა და მათ წარმომადგენლებზე.

9.3 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად (ერთი -"შემსყიდველს", ერთი - "მიმწოდებელს").

10. **მხარეთა პასუხისმგებლობა**

10.1 ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ჯეროვნად ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება ჯარიმით - ხელშეკრულების საერთო თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

11. **ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

ხელშეკრულება მოქმედებს მხარეთა მიერ მათზე დაკისრებული ვალდებულებების საბოლოო შესრულებამდე 2018 წლის 09 ოქტომბრის ჩათვლით.

12. **მხარეთა რეკვიზიტები**

"შემსყიდველი"
სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"
საიდენტიფიკაციო კოდი: 204559691
ქ.თბილისი დ.აღმაშენებლის გამზ. N150.
ტელ: 243 95 45
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22

სააგენტოს უფროსი
თამარ ბაგრატია

"მიმწოდებელი"
შპს `სი-ტი პარკ"
საიდენტიფიკაციო კოდი 204543770
ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. #47
ტელ: 2555123
ს.ს. "თიბისი ბანკი" ც/ფ
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის #GE75TB7721336070100003

გენერალური მენეჯერი
ბ. ლომაია

2017 წლის 31 აგვისტოს N 01-083103 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დანართი N1

N	ავტომანქანის სახელმწიფო ნომერი (ლათინურად)	ავტომანქანის მარკა (ლათინურად)	ავტომანქანის მოდელი (ლათინურად)	გამოშვების წელი
1	GN-019-EA	MITSUBISHI	L200	2014
2	GN-021-EA	MITSUBISHI	L200	2014
3	GN-024-EA	MITSUBISHI	L200	2014
4	GN-025-EA	MITSUBISHI	L200	2014

შემსყიდველი:
სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“

თამარ ბაგრატიონი
სააგენტოს თავმჯდომარე

მიმწოდებელი:
შპს „სი-ტი პარკ“

ბენიამინ ლაპავი
გენერალური დირექტორი

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ აღნიშნული შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

_____ თამარ ბაგრატია

_____ შორენა იოსებიძე

_____ ნიკოლოზ ქართველიშვილი

_____ თამარ ყარსიმაშვილი

_____ თეა წულაია

_____ ნინო დორეული